

პროექტ- გაკვეთილის როლი უცხო ენის სწავლებაში

სალომე ლომთაძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის, გელათის საჯარო სკოლის პედაგოგი

ანიტაცია:

აღნიშნულ სტატიში საუბარია იმის შესახებ, თუ რამდენად დადებითი შედეგი აჩვენა სასწავლო პროცესში და კონკრეტულად უცხო ენაში პროექტზე მუშაობის ჩართვამ, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა საგნისადმი ინტერესი და მოტივაცია აქტივობათა მრავალფეროვნე-ბის გამოყენებით. ჩემი მიზანი იყო, ჩემს აღსაზრდელებთან მუშაობისას გამომეყენებინა ყველა სიახლე, რასაც ტრენინგებისა და უცხოეთში სტაჟირებისას ვეუფლებოდი. მიზანი მიღწევადი აღმოჩნდა, ეს ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ყველა მიცემულ დავალებას და შედეგიც სასურველი მივიღე.

პირველი პროექტი, რომელიც გერმანულ ენაში წამოვიწყე, იყო „კულტურათა შორის“ ანუ „Zwischen den Kulturen“. პროექტზე მუშაობამ თითქმის ერთი წელი გასტანა და მეორე სემესტრის მიწურულს გვქონდა პრეზენტაცია. ის მიეძღვნა სრულიად ქართულ- გერმანულ ურთიერთობებს, ერების თავისებურებათა მიმოხილვას, ბრეხტის პიროვნების და მისი პიესის „კავკასიური ცარცის წრის მნიშვნელობას ქართული თეატრის ისტორიაში, გოეთეს ინსტიტუტის როლს აღნიშნულ ურთიერთობებში. ყველაფერი ეს მოსწავლეებმა დაბეჯითებით შეისწავლეს გარკვეული დავალებების მეშვეობით. სამუშაო დონე იყო A2.2., კლასი -მეთორმეტე.

მეორე პროექტი კი ინგლისურენოვანი იყო - „შობა საქართველოსა და ინგლისში“- „Christmas in Georgia and in England“. ის მეექვსე კლასში ერთი სემესტრის განმავლობაში განვახორციელე. დასამუშავებელი ინფორმაცია იყო არასაგაკვეთილო მასალებიდან - ჩემის ურვილი იყო ბავშვებისთვის ის ინფორმაცია მიმეწოდებინა, რაც მათთვის აბსოლუტურად უცნობი იქნებოდა. გარდა ამისა, გამოვიყენე ბევრი სახალისო და პროდუქტიული აქტივობა და მუშაობის პროცესში ისეთი მოსწავლეები ჩაებნენ დიდი მონდომებით, რომლებიც იქამდე არ გამოირჩეოდნენ მაღალი აქტივობით გაკვეთილის მსვლელობისას. ეს ტემპი დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არ დავარდნილა. პრეზენტაციამაც წარმატებით ჩაიარა. მოსწავლეებმა წარადგინეს ინ ფორმაციები ქართული და ინგლისური შობის ტრადიციების შესახებ აქაც სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციული თავისებურებების შესახებ ისაუბრეს. თავად მოამზადეს საპრეზენტაციო სლაიდებიც. აქედან გამომდინარე, ჩემს პრაქტიკაში უცხო ენის სწავლების პროცესში პროექტ-გაკვეთილზე მუშაობამ გაამართლა.

საკვანძო სიტყვები: გაკვეთილი, პროექტი, სწავლება.

სწავლა-სწავლების პროცესი ოდითგანვე კომპეტენტური ადამიანების დიდ ყურადღებას იქცევდა. სწავლებლები, ფილოსოფოსები, მეცნიერები ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ ძალზე საპაუხისმგებლო პროცესში.. საუკუნეების მანძილზე სულ უფრო ვითარდებოდა და იხვეწებოდა აღსაზრდელებთან მუშაობის მეთოდები და აქტივობები.

საგაკვეთილო პროცესი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო განსაკუთრებით მასწავლებლისთვის და ეს დღემდე ასე გრძელდება. თანამედროვე პედაგოგთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული იმ სიახლეების დაგეგვმა-განხორციელებაში, რასაც დღევანდელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვაწვდის.

სამინისტროს მიერ განხორციელებული ტრენინგ-სემინარები საშუალებას გვამძლევს აღსაზრდელებთან მუშაობის პროცესში უახლესი მეთოდების ტრანსფერი მოვახდინოთ. პირადად ჩემი საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ყველა სიახლე ჩემი მოსწავლეებისთვის და შესაბამისად, ჩემთვის პროგრესის მომტანი აღმოჩნდა. პროფესიით გერმანისტი ვარ, მაგრამ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებმა მომანიჭა უფლება ვყოფილიყავი არა მარტო გერმანული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი, არამედ მესწავლებინა ინგლისური ენაც. ამასთანავე 2012 წელს გავხდი თბილისის გოეთეს ინსტიტუტის სტიპენდიანტი და ინსტიტუტმა დამრთო ნება, კვალიფიკაციის ასამაღლებლად წავსულიყავი ორი კვირით ბერლინში. კურსის დასახელება იყო „თეატრი გერმანულის გაკვეთილზე“. კურსის აქტივობათა უმრავლესობა ახალი იყო ჩემთვის. აღნიშნულმა სემინარებმა მასწავლეს, როგორ შეიძლებოდა მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება .

გადავწყვიტე, გამეკეთებინა პროექტ-გაკვეთილი მეორემეტე კლასში სახელწოდებით „ კულტურათა შორის“. აღსანიშნავია, რომ გერმანული ენა გელათის საჯარო სკოლაში ექვს საათს მოიცავს და იწყება მისი სწავლება მეათე კლასიდან. აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთული იყო მცირე გერმანული ლექსიკის მქონე მოსწავლეებთან პროექტი მოკლე დროში განმეხორციელებინა. მაგრამ მუშაობის პროცესი საინტერესოდ წარიმართა და მოსწავლეები აქტიურად დაკავდნენ მიცემული დავალებებით. პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ მათ დამოუკიდებლად უამრავი ახალი ინფორმაცია მოიპოვეს. პროექტის მიზანი არ ყოფილა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, თუ რა აკავშირებს საქართველოსა და გერმანიას, არამედ მოსწავლეებს უნდა გაეკეთებინათ ანალიზი, სინთეზი, შედარება, რა განსხვავებაა ქართველ და გერმანელ ერებს შორის, რა აქვთ მათ მსგავსი.

პროექტზე მუშაობისას მათ უამრავი რამ შეიტყვეს ბერთოლტ ბრეხტსა და მის ცნობილ პიესაზე „ კავკასიური ცარცის წრე“. გერმანიაში, ბუკოვში ყოფნისას მე მერგო პატივი ბრეხტის სახლ-მუზეუმს ვწვეოდი. ამ ადგილიდან წამოღებულმა ფოტო-მასალამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს აღსაზრდელებზე. გარდა იმისა, რომ მეც ვიყავი მათი ინტერვიუერი, ინფორმაციები თავადაც მოიძიეს ინტერნეტში. ჩემ მიერ მიწოდებულ და თავად მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით დაამზადეს კედლის გაზეთი, რომელიც მიუძღვნეს ბერთოლტ ბრეხტს და მის პიესას „კავკასიურ ცარცის წრე“.

მეტი მრავალფეროვნებისთვის ერთ-ერთ მოსწავლეს დავავალე, ეთარგმნა რომელიმე გერმანული პოეტის ლექსი. გადავწყვიტეთ ეს პოეტი ყოფილიყო ავსტრიული

წარმოშობის გერმანულენოვანი პოეტი რაინერ მარია რილკე და მისი ლექსი „Mein Herz“. ლექსი სამსტროფიანია და არც რთული ლექსიკური შემადგენლობა აქვს, ამდენად თარგმნის პროცესიც ნაკლებად რთული იყო. მოსწავლემ კარგად გაართვა თავი, სწორი რითმა შეერჩია და ლექსი როგორც შინაარსობრივად, ასევე რითმულად სასიამოვნო მოსასმენი იყო.

ბავშვებმა შეაგროვეს მასალები გოეთეს ინსტიტუტის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს ის საქართველო- გერმანიის ურთიერთობებში; ვინ იყო არტურ ლაისტი, რა და ვინ აკავშირებდა მას საქართველოსთან. ყველაფერთან ერთად კულინარიის სფეროსაც შევხებით: მოსწავლეებს შევთავაზებ მოემიყობინათ გერმანული ორცხობილის - ბრეცელის მომზადების წესი. მათ არა მარტო მოიძიეს „არამედ მოისურვეს თავად მოემზადებინათ პრეზენტაციისათვის და გამოუვიდათ კიდეც. როცა ყველა ინფორმაცია შეაგროვეს, დაახარისხეს და პრეზენტაციაც მოეწყო 2013 წლის 15 მაისს.

ამ თემატიკის ირგვლივ პროექტ - გაკვეთილის ჩატარებისას ვიმუშავეთ გრამატიკაშიც. მიცემული ზედსართავი სახელებიდან, რომლებიც პატარა ბარათებზე ეწერა, მოსწავლეებს უნდა გამოეცნოთ, რომელი მათგანი იყო გერმანული წარმოშობისა და რომელი ქართულის. მოსწავლეები ამ დავალების შესრულებისას მუშაობდნენ ჯგუფებში.

მორიგი დავალების ტიპი იყო ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ამოცნობა და მათი შევსება. ტექსტები განთავსებული იყო ფორმატის ფურცლებზე: ერთი მათგანი საქართველოს შესახებ იყო, მეორე კი გერმანიას ახასიათებდა. ამ შემთხვევაში კლასი გავეყავი ორ ჯგუფად და თითოეული ჯგუფის ერთმა წევრმა დავალების დასრულებისას გააკეთა პრეზენტაცია. გარდა ამისა, ტექსტებში უნდა შეესწორებინათ გრამატიკული შეცდომები. ამას მოსწავლეები დიდი ხალისითა და მონდომებით ასრულებდნენ.

ვფიქრობ, სასურველ და დასახულ მიზანს მივაღწიეთ. მოსწავლეებმა პრეზენტაციისას წარმოაჩინეს თავიანთი რეალური პროგრესი როგორც ლექსიკური მარაგის, ასევე გრამატიკაშიც. პროექტმა აწსუ-ს უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონი მირანდა გობიანის მოწონებაც დაიმსახურა.

ასევე საინტერესოდ წარიმართა მეექვსე კლასში პროექტ-გაკვეთილი ინგლისურ ენაში. თემის დასახელება იყო „შობა საქართველოსა და ინგლისში“, რაც ამ ასაკის მოსწავლეებისთვის სრულიად ახალი და უცხო იყო.

პროექტის მიზანი იყო, მოსწავლეებს განვითარებოდათ ინგლისურ ენაში უცხო მასალაზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები, შეესრულებინათ თემატიკასთან დაკავშირებული გრამატიკული სავარჯიშოები და გაემდიდრებინათ ლექსიკა ახალი სიტყვებით. ინფორმაციები გამოკითხვების და ინტერნეტის მეშვეობით შეაგროვეს. ტექსტების თარგმნასა და ტექსტების ადაპტირებაში, რასაკვირველია, მასწავლებლის ჩარევა და დახმარება იყო საჭირო. მუშაობის პროცესში უამრავ უცნობ მასალებს პოულობდნენ აღსაზრდელები. გაარკვიეს, თუ რა განსხვავება იყო ქართულ და ინგლისურ საშობაო ტრადიციებს შორის, ანუ რა თავისებურებები ახასიათებს მართლმადიდებლურ და კათოლიკურ საშობაო რიტუალებს. შეისწავლეს ასევე საქართველოს თითოეული კუთხის წეს-ჩვეულებები, რაც ამ უდიდეს დღესასწაულს უკავშირდება. პრეზენტაციისთვის მოამზადეს ტექსტები, რომლებშიც მოთხრობილი

იყო შობის დღესასწაულის წარმოშობის შესახებ, რა არის შობის სიმბოლიკები და რა მნიშვნელობა აქვს მას ქართველი და ინგლისელი ხალხისათვის.

გაკვეთილის ჩატარებისას მოსწავლეებს მივეცი რამდენიმე განსხვავებული ტიპის დავალება. დავალებები მიზნად ისახავდა როგორც ახალი ლექსიკური მარაგის შევსება-განმტკიცებას, ასევე გრამატიკული წესების სწორად გამოყენებას სავარჯიშოებში. მოსწავლეებს უნდა შეეთავსებინათ დანაწევრებული წინადადებების ნაწილები ერთმანეთისთვის, უნდა ეპოვნათ შეცდომები, როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური და შეესწორებინათ; დაევაღათ, სწორად შეევისოთ ჩამოთვლილი სიტყვებით ტექსტის გამოტოვებული ადგილები; მსგავსი ტიპის იყო შემდგომი დავალებაც: მოსწავლეებს სათითაოდ დაურიგდათ სიმღერის უცნობი ტექსტები და სიმღერის მოსმენის პროცესში უნდა შეევისოთ ტექსტებში დაკლებული სიტყვები. ყველა ეს დავალება საშობაო ლექსიკაზე ავაგე. გაკვეთილის მსვლელობისას გამოვიყენე მუშაობის თითქმის ყველა ტიპი: ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილებში მუშაობა. პრეზენტაციისას კლასი გავყავი ორ ჯგუფად, რომელთაგან ერთმა საქართველოს საშობაო ტრადიციების შესახებ გვიამბო, მეორემ კი ამ დღესასწაულის ინგლისური რიტუალები გაგვაცნო.

საბოლოოდ ბავშვებს დავურიგე დანაწევრებულ სურათებიანი სამი კონვერტი. ამ სურათებზე გამოსახული იყო სამი სხვადასხვა დღესასწაული და თითოეულის ნაწილები არეულად განვათავსე კონვერტებში. მოსწავლეებს უნდა შეეთავსებინათ სურათების ნაწილები ერთმანეთთან ჯგუფური მუშაობისას და თითოეულ ჯგუფს უნდა გამოეცნო დღესასწაულის დასახელება. ყველა ტიპის დავალებას კლასმა წარმატებით გაართვა თავი და აღსანიშნავია ისიც, რომ მუშაობის პროცესში აქტიურად ჩაერთო კლასის ის ნაწილი, რომელიც ნაკლებად გამოირჩეოდა აქტივობის მხრივ. იმდენად, რამდენადაც მეექვსე კლასის ინგლისურის სახელმძღვანელოს არცერთი თავი არ ეძღვნება შობის თემას, მოსწავლეები ინტერესით და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მუშაობის პროცესს. შესაბამისად, შედეგიც სასურველი აჩვენეს.

ჩემთვის როგორც პედაგოგისთვის ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა გერმანულ და ინგლისურ ენებში პროექტ-გაკვეთილებზე მუშაობის პროცესი. მაინტერესებდა ასაკობრივ სხვაობასაც თუ ექნებოდა დიდი მნიშვნელობა ამ ტიპის დავალებების შესრულებისას. მოგეხსენებათ, რომ ზემოთხსენებული პროექტის „კულტურათა შორის“ - „Zwischen den Kulturen“ მონაწილენი მეთორმეტე კლასელები იყვნენ, ხოლო ინგლისურ პროექტზე „შობა საქართველოსა და ინგლისში“ - „Christmas in Georgia and in England“ მეექვსე კლასელებმა იმუშავეს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ პატარების პასუხისმგებლობამ ლამის გადააჭარბა მაღალკლასელებისას. ორივე შემთხვევაში მიზანი მიღწეული იქნა - პროექტ გაკვეთილზე მუშაობა დადებითი შედეგის მომტანი აღმოჩნდა. მოსწავლეებში პროგრესი აისახა როგორც ლექსიკური მარაგის და გრამატიკის მხრივ, ასევე ინფორმაციულად. ბევრი ისეთი რამ შეიტყვეს და დაიმახსოვრეს, რაც აქამდე მათთვის უცნობი იყო. აქედან გამომდინარე, ჩემს პრაქტიკაში უხო ენის სწავლების პროცესში პროექტ-გაკვეთილზე მუშაობამ გაამართლა.

გამოყენებული საინფორმაციო რესურსები :

- კომპიუტერი,
- საპრეზენტაციო პროგრამა Microsoft Power Point
- კომპიუტერული პროგრამები : Microsoft Word,
- ფლემ-მეხსიერება,
- ინტერნეტი,
- პრინტერი,
- DVD დისკი
- ციფრული ფოტოაპარატი
- საძიებო სისტემა Wikipedia.org
- საძიებო სისტემა Google.ge / Google. Ru / Google.de
- საძიებო სისტემა You Tube

გამოყენებული ლიტერატურა

1. გერმანიის გოეთეს ინსტიტუტის სემინარების მასალები, მოდული - „Theater im DaF-Unterricht“ („თეატრი გერმანულის გაკვეთილზე“.)
2. გერმანულ- ქართული ლექსიკონი -იოლანდა მარშევი. Kaukasus-Verlag, 1999.
3. ინგლისურ-ქართული, ქართულ -ინგლისური ლექსიკონი - თ. გვარჯალაძე, ი. გვარჯალაძე; ახალი გამოცემა.